ბიზნესის განწყობის ინდექსი

შესუსტებული ოპტიმიზმი გაუმჯობესებული მდგომარეობის ფონზე

კვარტალი 3 - 2016

კვლევაში მონაწილე კომპანიები

დიდი	მცირე და საშუალო
74	**227**

ბიზნესის განწყობის ინდექსი

-1

შემცირდა

კვლევის ძირითადი შედეგები



• ბიზნესის განწყობის ინდექსი(*) საქართველოში ერთი ერთეულით შემცირდა (2016 წლის მეორე კვარტალთან შედარებით). მიუხედავად ამისა 25.0 პროცენტული პუნქტით იგი მნიშვნელოვნად მაღალია 2015 წლის მესამე კვარტალთან (14.8) შედარებით. მესამე კვარტალში ინდექსის შემცირება ძირითადად გამოწვეული იყო ბიზნესის მოლოდინების ინდექსის მნიშვნელოვანი შემცირებით.

• გამოკითხული ბიზნესმენების 38% მიიჩნევს რომ გასული სამი თვის განმავლობაში მათი ბიზნესის მდგომარეობა გაუმჯობესდა, რამაც გამოიწვია მიმდინარე მდგომარეობის ინდექსი შესამჩნევი ზრდა 30.4 პროცენტულ პუნქტამდე (7.9 პროცენტული პუნქტით ზრდა მეორე კვარტალთან შედარებით). ყველაზე დიდი ზრდა მიმდინარე მდგომარეობის ინდექსში სოფლის მეურნეობის სექტორს შეეხო.

• ბიზნესების ოპტიმიზმი დაეცა 12.7 პროცენტული პუნქტით 2016 წლის მეორე კვარტალთან შედარებით, მაგრამ შეინარჩუნა მაღალი დონე 2015 წლის მესამე კვარტალთან (27.2 პროცენტული პუნქტი) მიმართებაში. გამოკითხული ბიზნესების უმეტესობა არ ელოდება ცვლილებებს საკუთარ ეკონომიკურ საქმიანობაში და ამავდროულად გამოკითხულთა 25% მომავალში ელის ეკონომიკური საქმიანობის გაუმჯობესებას. მოლოდინების ინდექსი ზაფხულის სეზონის მიწურულზე შესუსტდა ყველა სექტორში.

• გასაყიდი ფასების მოლოდინის ინდექსი შემცირდა 0.2 პროცენტული პუნქტით და იგივე ინდექსი მომსახურების სექტორში უარყოფით მაჩვენებლს დაუბრუნდა.

(*) 2016 წლის მესამე კვარტალში ბიზნესის განწყობის ინდექსი დაფიქსირდა 25 ერთეულზე [-100; +100] შკალის მიხედვით. ინდექსის დადებითი რიცხვი მიუთითებს რომ ბიზნესების განწობა არის 25 პროცენტული პუნქტით უფრო დადებითი ვიდრე უარყოფითი ან ნეიტრალური. განყობის ინდექსის 100 ერთეულის დაფიქსირების შემთხვევაში კვლევაში მონაწილე ყველა ფირმას ექნებოდა დადებითი განწყობა. განწყობის ინდექსის 0 ერთეულის დაფიქსირების შემთხვევაში დადებითად და უარყოფითად/ნეიტრალურად განწობილთა რაოდენობა თანაბარი იქნებოდა გამოკითხულ ბიზნესებში მიმდინარე მდგომარეობასთან დაკავშირებით (მეტი ინფორმაციისათვის იხილეთ მეთოდოლოგიური შენიშვნები).

ISET MA Program in Economics Policy Institute
International School of Economics at Tbilisi State University
BUSINESS CATALOGUE Business Information Provider
ICC GEORGIA INTERNATIONAL CHAMBER OF COMMERCE